

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი
040.170.280.12.005.006.851

**საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის
დადგენილება N51
2004 წლის 11 ნოემბერი ქ. თბილისი**

**სპეციალიზებული დეპოზიტარის საპენსიო აქტივის
შენახვის ვალდებულებების განსაზღვრის წესის შესახებ**

“არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის და უზრუნველყოფის შესახებ” საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის “კ” ქვეპუნქტის შესაბამისად კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული “ სპეციალიზებული დეპოზიტარის საპენსიო აქტივის შენახვის ვალდებულებების განსაზღვრის წესის შესახებ “.
2. წინამდებარე დადგენილების პირველ პუნქტში განსაზღვრული წესი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თავმჯდომარე

მ. ჯიბუტი

წესი

**სპეციალიზებული დეპოზიტარის საპენსიო აქტივის შენახვის ვალდებულებების
განსაზღვრის წესის შესახებ**

მუხლი 1.

ეს წესი შემუშავებულია “არასახელმწიფო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ” საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის “კ” ქვეპუნქტის საფუძველზე და განსაზღვრავს სპეციალიზებული დეპოზიტარის საპენსიო აქტივის შენახვის ვალდებულებებს.

მუხლი 2.

ამ წესში გამოყენებულია ტერმინები საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობით

მუხლი 3.

სპეციალიზებული დეპოზიტარი დეპოზიტარული ხელშეკრულების საფუძველზე ვალდებულია:

– განახორციელოს დოკუმენტირებული ფასიანი ქაღალდების მიღება და შენახვა.

– აწარმოოს საპენსიო აქტივების დანაგროვთა შემადგენელი არადოკუმენტირებული ფასიანი ქაღალდების აღრიცხვა

– მიიღოს და შეინახოს საანგარიშსწორებო დოკუმენტების ასლები ფულადი სახსრების გაცემასა და გადარიცხვებზე იმ საბანკო ანგარიშებიდან, რომელზეც ინახება საპენსიო დანაგროვთა შემადგენელი ფულადი სახსრები,

– მიიღოს, აღრიცხოს და შეინახოს განკარგულებები ფასიანი ქაღალდებისა და იმ დოკუმენტების გადაცემაზე რომელთა შესაბამისადაც ხდება საპენსიო აქტივების დანაგროვთა შემადგენელი ქონების შექმნა და გადაცემა და საპენსიო დანაგროვთა აქტივების შემადგენელ ქონებასთან დაკავშირებული სხვა პირველადი დოკუმენტების ასლები.

მუხლი 4.

სპეციალიზებული დეპოზიტარი დეპოზიტარულ მომსახურებაზე ხელშეკრულების საფუძველზე ვალდებულია განახორციელოს ფულადი ანგარიშსწორება, ფასიანი ქაღალდების შენახვა და გადაცემა აქტივების მმართველი კომპანიის მიერ საპენსიო დანაგროვთა ინვესტირების თაობაზე დასრულებული გარიგებებთან დაკავშირებით და აწარმოოს აღრიცხვა საპენსიო დანაგროვთა ანაზღაურებული მოცულობისა.

მუხლი 5.

დეპოზიტარულ მომსახურებაზე ხელშეკრულების შესაბამისად სპეციალიზებული დეპოზიტარი ვალდებულია აკონტროლოს აქტივების მმართველი კომპანიის მიერ ამ კანონითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შეზღუდვების დაცვას მიაწოდოს ინფორმაცია სქემის დამფუძნებელსა და ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიას გამოვლენილი დარღვევის ფაქტებზე.

მუხლი 6.

სპეციალიზებული დეპოზიტარი მოვალეა წარუდგინოს დამოუკიდებელ აუდიტორს აქტივების შემადგენელი ქონების აღრიცხვის მონაცემები და მის განკარგულებაში არსებული სხვა ინფორმაცია, აგრეთვე მასთან არსებული პირველადი დოკუმენტების ასლები, და მის ხელთ არსებული სხვა ინფორმაცია, რაც აუცილებელია აქტივების მართვასთან დაკავშირებული აღრიცხვისა და საანგარიშგებო მასალების შესამოწმებლად.

მუხლი 7.

სპეციალიზებული დეპოზიტარის ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის დასაზუსტებლად საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია ადგენს სპეციალიზებული დეპოზიტარის მოქმედების სტანდარტებს.